



შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	2
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	Note	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,213,551	1,353,137
საინვესტიციო ქონება	7	181,454	181,454
		1,395,005	1,534,591
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	862,688	2,555,502
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1,045,052	900,939
ავანსად გადახდილია საგადასახადო ვალდებულებები		825,370	867,644
მარაგები	9	83,787	109,196
გადახდილი ავანსი		0	0
მოთხოვნები ფინანსურ ოჯარაზე		0	0
გაცემული მოკლევადიანი სესხი		0	0
		2,816,897	4,433,281
მთლიანი აქტივები		4,211,902	5,967,872
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		170,940	155,687
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-1,467,743	-1,859,586
		-1,296,803	-1,703,899
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,693,070	2,571,861
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
მიღებული ავანსები		3,815,635	5,099,910
		5,508,705	7,671,771
მთლიანი ვალდებულებები		5,508,705	7,671,771
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,211,902	5,967,872

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 ოქტომბერს.

დირექტორი:



სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	Note	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	10	3,956,651	2,084,929
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	9	(1,410,344)	(698,102)
საერთო მოგება		2,546,308	1,386,827
სახელფასო დანახარჯი	11	(1,187,486)	(1,942,951)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(782,618)	(382,530)
პერსონალის დანახარჯი		0	0
სხვა ხარჯები	14	(197,099)	0
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(171,787)	(166,714)
საოპერაციო მოგება		207,318	(1,105,368)
ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	13	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	13	0	0
მოგება დაბეგვრამდე		207,318	(1,105,368)
მოგების გადასახადი		(293)	(1,474)
პერიოდის მოგება		(207,025)	(196,762)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	15	147,572	0
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		147,572	0

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის 2025 წლის 01 ოქტომბერს.

დირექტორი:



კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	147,752	-1,851,651	-1,703,899
მოგება წლის ბოლოს		392,024	392,024
სხვა სრული შემოსავალი			0
პერიოდის სრული შემოსავალი	147,752	-1,459,627	-1,311,875
გაცემული დივიდენდი		0	0
აქციების გამოშვება		0	0
კაპიტალის ამოღება		15,073	15,073
2024 წლის 31 დეკემბერი	147,752	-1,444,554	-1,296,803

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 ოქტომბერს.

დირექტორი:



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 204516899, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2006 წლის 19 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ინგოროყვას ქ. N8

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო სარემონტო სამუშაოები. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2017 - 2019 წლის მდგომარეობით „კომპანიის“ 50% და 50% წილს ფლობენ ალექო ხვისტანი და ბონდო ომიანიძე. 2021 წლის 30 დეკემბრიდან 50% წილის მფლობელი გახდა მაი ჭელიძე და 50% ბონდო ომიანიძე. ალექო ხვისტანი არის კომპანიის დირექტორი. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2025 წლის 01 ოქტომბერს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის განვითარების გეგმის შესაბამისად. შემდგომი პერიოდის განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალში.

„კომპანიის“ მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოხდა პირველად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი „კომპანიისთვის“ არის 2018 წლის 1 იანვარი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი შედგება ნაღდი ფულისგან და ფული საბანკო ანგარიშებზე.

უცხოური ვალუტა. „კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის

დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები. სავაჭრო დებიტორული ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, წარმოადგენს გარიგების ფაქტობრივი ფასის ოდენობას. შემდგომში მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ხარჯების ოდენობით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულს მოხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გადახედვა, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ თანხები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში მოხდება მნიშვნელოვანი დანაკარგის დაუყოვნებლივ აღრიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო თარიღისთვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. გაუფასურების ზარალი მაშინვე აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და აღრიცხვის მოდელი. ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთასშორის სხვაობით.

დანახარჯები ძირითად საშუალებების მოვლა-შენახვაზე და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება, მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე. დანახარჯები, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქცია-განახლებაზე კაპიტალიზდება და ზრდის ძირითადი საშუალების ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ცვეთა. ცვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები სამშენებლო ტექნიკა	10
მანქანა-დანადგარები	10
შენობა - ნაგებობები	50

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, საწყისი აღიარებისას, წარმოადგენს გარიგების ფაქტობრივი ფასის ოდენობას.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემოსავლის აღრიცხვა. შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი სავაჭრო მოგების, ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც „კომპანია“ მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს და მომხმარებელი იღებს მათ საკუთარ თავზე.

სამშენებლო კონტრაქტებით მიღებული შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ოპერაციის დასრულების ეტაპისთვის მისი საიმედო შეფასება. შემოსავლები აღიარებულია საანგარიშო პერიოდებში, რომლის დროსაც მომსახურების გაწევა ხდება შესრულებული სამუაოს შესრულების მაჩვენებლის შესაბამისად.

კონტრაქტით მიღებული მოგება და კონტრაქტისთვის გაწეული ხარჯები აღიარებულია როგორც მოგება და ხარჯი კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობის დასრულების ეტაპზე, საანგარიშო თარიღისთვის, როდესაც შესაძლებელია კონტრაქტის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა. შედეგების საიმედო შეფასებისთვის საჭიროა დასრულების ეტაპის და სამომავლო ხარჯების ზუსტი და საიმედო შეფასება.

მოცემული პერიოდისთვის აღსარიცხი თანხის განსაზღვრის მიზნით „კომპანია“ იყენებს შესრულებული სამუაოსა და ამ შესრულებულ სამუშაოზე გაწეული ხარჯების აღიარების მეთოდს.

სახელფასო ხარჯები და სხვა შენატანები. ხელფასები, საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სხვა შეღავათები დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლებზე მოხდება ანაზღაურება მათ მიერ შესრულებული შესაბამისი მომსახურებების გაწევაზე. „კომპანია“ არ გაწევს პენსიების გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის მფლობელისთვის დივიდენდების განაწილება კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში აღირიცხება როგორც ვალდებულება კომპანიის მფლობელის მიერ დივიდენდების დამტკიცების პერიოდისთვის.

5. ინფორმაცია შეფასების გაკეთების და გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი წყაროების შესახებ

„კომპანია“ ახდენს შეფასებებს და იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ინფორმაციაში აღრიცხულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფისკალური წლის განმავლობაში. მუდმივად ხდება შეფასებების და მიღებული

გადაწყვეტილებების გადახედვა. ისინი ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მომავალში გარკვეული მოვლენების მოსალოდნელ განვითარებას. შეფასების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იღებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს სააღრიცხვო პოლიტიკის მიღების პროცესში. გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში და შეფასებებში აღრიცხულ თანხებზე და რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფისკალური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების შეფასება ეხება კომპანიის ხელმძღვანელობას, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მის მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკური თვალსაზრისით მის მოსალოდნელ ცვეთას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს სადაც ხდება მისი ოპერირება. აღნიშნულ პირობებში და შეფასებებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება შესაძლოა გახდეს სამომავლო ამორტიზაციის მონაცემების ცვლილების საფუძველი.

სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებების გაუფასურება. დებიტორული ვალდებულებების გაუფასურება დგინდება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა ან ფაქტური დეფოლტები შეფასებულზე მაღალია, მაშინ ფაქტური დებიტორული ვალდებულებები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. თუ „კომპანია“ მიიჩნევს, რომ არ არსებობს ობიექტური მონაცემები, იმისა, რომ მოხდა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურება, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანი იქნება ის თუ არა, ის აქტივს შეიყვანს მსგავსი საკრედიტო რისკის თვისებების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და კოლექტურად შეისწავლის მათ გაუფასურებას.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნით, დებიტორული ვალდებულებების დაჯგუფება ხდება საკრედიტო რისკების მსგავსი მახასიათებლების საფუძველზე. სავაჭრო დებიტორული ვალდებულებები, რომლებიც ინდივიდუალურად არ განიციდან ცვეთას, შეფასებულ იქნებიან კოლექტიურად მსგავსი ასაკის დებიტორულ ვალდებულებებთან დაკავშირებით კომპანიის მიერ დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით. სავაჭრო დებიტორული ვალდებულებების ანარიცხები ეფუძნება აღდგენის დონებთან დაკავშირებით დაგროვილ გამოცდილებას. გაუფასურების ანარიცხის მაჩვენებელი სენსიტიურია კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლისადმი.

ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს არსებული ხარჯთაღრიცხვისგან და კომპანიის ხარჯთაღრიცხვა შესაძლოა ცვლილებას დაექვემდებაროს მომავალში, უარყოფითად ან დადებითად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე და მოლოდინებზე, თითოეული ზემოქმედების ირგვლივ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით.

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 6						
ძირითადი საშუალებები						
	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები, ტექნიკა	სულ
31 დეკემბერი 2023	89,831	555,687	359,587	206,249	1,188,738	2,400,091
შემოსვლა	-	-	5,401	-	26,800	32,201
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	89,831	555,687	364,988	206,249	1,215,538	2,432,292
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2023	-	(106,617)	(296,796)	(167,489)	(476,053)	(1,046,954)
პერიოდის ცვეთა	-	(10,696)	(32,134)	(18,707)	(110,251)	(171,787)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	(117,313)	(328,929)	(186,195)	(586,304)	(1,218,741)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	89,831	449,071	62,791	38,760	712,685	1,353,137
31 დეკემბერი 2024	89,831	438,374	36,059	20,053	629,234	1,213,551

შენიშვნა 7

საინვესტიციო ქონება

	წელი:	2024	2023
საბალანსო ღირებულება 1.01.2024		181,454	184,454
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან		-	-
რეალური ღირებულება 31.12.2024		181,454	181,454

შენიშვნა 8**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2024
ნაღდი ფული სალაროში	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	862,688
სულ	862,688

შენიშვნა 9**მარაგები**

	მზა პროდუქცია	სხვა მასალა	მთლიანი მარაგები
2023 წლის 31 დეკემბერი	109,196	0	109,196
შეძენა	1,384,934	0	1,384,934
რეალიზაცია/ჩამოწერა	(1,410,344)	0	(1,410,344)
2024 წლის 31 დეკემბერი	83,787	0	83,787

შენიშვნა 10**ამონაგები**

	2024
შემოსავალი მასალების გაყიდვიდან	2,360,679
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	671,690
სხვა შემოსავალი	0
იჯარით მიღებული შემოსავალი	924,282
სულ	3,956,651

შენიშვნა 11**სახელფასო დანახარჯი**

2024 წელს კომპანიაში მომუშავე გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე მიღებულმა ანაზღაურებამ შეადგინა 850930 ლარი.

შენიშვნა 12

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024
კომუნალური ხარჯები	16,007
კომუნიკაციის ხარჯი	1,585
დაზღვევა	7,614
საბანკო მომსახურების საკომისიო	2,378
სხვა ხარჯი	0
ტარსპორტირების ხარჯი (მივლინება)	50,910
საგარანტიო მომსახურება	83,313
საოფისე ხარჯი	2,713
წარმომადგენლობით ხარჯი	20,000
საპროექტო ხარჯები	5,105
მომსახურების ხარჯები	584,794
ავტომობილის შენახვის ხარჯი	8,199
სულ:	782,618

შენიშვნა 13

ფინანსური ხარჯი/ შემოსავალი

	2024
საპროცენტო ხარჯი/შემოსავალი	0
კრედიტორული/დებიტორული დავაიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი/ხარჯი	0
გადახდილი დივიდენდი	0
სულ	0

შენიშვნა 14**სხვა ხარჯები**

	2024
კრედიტორული/დებიტორული დავაიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი/ხარჯი	197,099
სულ:	197,099

შენიშვნა 15**სრული შემოსავალი/ გადაფასების რეზერვი**

	147,572
სრული შემოსავალი 31.12.2023წ	-
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან (საინვესტიციო ქონება)	-
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან (ძირითადი საშუალების აფასება)	-
სრული შემოსავალი 31.12.2024წ	147,572